

# შიდა ქართლში, სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

24 ნოემბერი 2018

პროექტის ფარგლებში, ალტერნატიული და ძლევიჯვრის მაგისტრალური არხების ტრაპეციული და მართკუთხა კვეთები სრულად მოპირკეთდება მონოლითური რკინაბეტონით; მოენყობა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ასევე, გათვალისწინებულია არხებიდან გამომავალი გამანაწილებლების რეაბილიტაცია. სამუშაოები უზრუნველყოფს 1215 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ირიგაციას. აღდგენილი სისტემით გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფელ ფხვენისის, ქვემო ხვითის, შინდისის, ყელქცეულის, ბრეთის მეურნეობის, ძლევიჯვრისა და დირბის მოსახლეობა ისარგებლებს.

რეაბილიტირებული არხები წყალს მიანვდის სალთვისის სარწყავი სისტემის გ-2 გამანაწილებელ არხს, რის შედეგადაც გაუმჯობესდება წყლის მიწოდება და თვითდინებით მორწყვის საშუალება ექნება 2928 ჰექტარ სავარგულს.